ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №291078

ნომერი: AR170536

თარიღი : 01.08.2012

გაცემის თარიღი : 01.08.2012

გაცნობის თარიღი : 08.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635
- თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა დემონტაჟი

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში , გუდიაშილის ქ. 18 / რუსთაველის გამზ. 7-ში, შპს “მაგთი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის საკითხს.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება 1 კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის ” თბილისის არქიტექტურის სამსახური”. ” მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (1. მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.15.04.024.012; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 882011634758, 27.12.2011; 2. არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, გუდიაშილის ქ. 18 / რუსთაველის გამზ. 7-ში, შპს “მაგთი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის შესაძლებლობას. აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge